იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 01 მაისი 2023 წ.

ერთის მხრივ **შპს „ელექტრონული ტექნოლოგიები“ (ს/კ 202051215)** წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ლაშხის სახით შემდგომში წოდებული როგორც „მეიჯარე“ და მეორეს მხრივ **შპს „ინდროჯი+“ ს.კ. 405265804** წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი იასეშვილის სახით, შემდგომში წოდებული როგორც „მოიჯარე“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „მეიჯარე“ გადასცემს ხოლო „მოიჯარე“ იღებს დროებით მფლობელობაში და სარგებლობაში ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებულ საიჯარო ქონებას. „მოიჯარე“ ვალდებულია ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით, ოდენობითა და ვადებში გადაუხადოს „მეიჯარეს“ საიჯარო ქირა.
1.2. საიჯარო ქონება: მისამართი აკაკი ბელიაშვილის 106ა; მიწა 4 (ოთხი) კვ.მ; საკადასტრო კოდი 01.13.02.004.037 იჯარის გამცემი წინამდებარე ხელშეკრულებით გადასცემს იჯარის მიმღებს დაქირავებულ ქონებას.

2. საიჯარო ქირის ოდენობა და გადახდის წესი

2.1 საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს დღგს ჩათვლით.

2.2 გადახდა განხორციელდება ყოველი მომდევნო თვის 05 რიცხვამდე, უნაღდო ანგარიშსწორების წესით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

ბანკი სს „პროკრდიტ ბანკი“

ბანკის კოდი MIBGGE 22

ა/ა GE97PC0133600100046983

3. მოიჯარის უფლებამოსილება

3.1. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გააკეთოს განაცხადი თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, მოითხოვოს ნებართვა, დასტურის შემთხვევაში ჩაატაროს ტექნიკური სამუშაოები, ანუ განათავსოს სარეკლამო კონსტრუქცია.

3.2 მოქმედი კანონდმებლობის შესაბამისად დაკიდოს ან/და გამოაკრას აბრები (მათ შორის სარელამო ინფორმაციის მქონე)

4.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 6 (ექვსი) თვის ვადით და ვადის ათვლა იწყება 2023 წლის 1 ივლისიდან.

4.2. პირველი 3 თვე წარმოადგენს შეღავათიან პერიოდს.

4.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

5.დავის გადაწყვეტა

5.1 მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა მხარეთა მიერ გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.დასკვნითი დებულებები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელსაც მხარეები დაასატურებენ ხელმოწერით.

6.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

7. მხარეთა რეკვიზიტები

მოიჯარე	მეიჯარე
შპს „ინდროჯი+“	შპს „ელექტრონული ტექნოლოგიები
ქ. თბილისი, ბაზალეთის ქ. #9	მის: ქ.თბილისი ნოდარ ბოხუას 2
ს/კ 405265804	ს/კ 202051215
დირექტორი: გიორგი იასეშვილი	დირექტორი: ვახტანგ ლაშხი